№ 190 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ოთხშაბათი 27 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განკარგულებანი)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით აცხადებს, რომ სამ სექტემბერს, 1919 წ. დილის ათ საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ახალ სასაკლაოს შენობაში (ნავთლუღში) შემდეგი საბჭოს ნივთებისა: რამოდენიმე ათი ათასეული ძველი ბოჭკებისა, სხვა და სხვა ბოჭკების საკეთებელი იარაღებისა და საშენებელ მასალისა. დაწვრილებითი ცნობები მიიღება ცენტრალურ სასურსათო საბჭოში (მადათოვის ქუჩა, № 3). 1503 3—2

საჭიროა ოჩემჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—2

კურსები ახალი ენებისა (ფრანგული, ნემეცური, ინგლისური და იტალიანური) ნ. პონჩევსკის.

სწავლება იწყება თავიდან. კურსებთან შესდგება ჯგუფები ლათინური ენის შესასწავლად. ჩაწერა და ცნობების მიღება 11—12 საათამდე და 6—7 საათამდე ყოველ დღე. პლეხანოვის პროსპექტი, 40. 1130 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დადგენილება

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოქმედების დროებითი შეწყვეტისა.

1. დამფუძნებელი კრების მოქმედება დროებით შეწყვეტილ იქნეს ამა 1919 წლის აგვისტოს 3-დან თვენახევრით.

2. დამფუძნებელი კრების პირველი შემდეგი სხდომა დანიშნულ იქნეს პარასკევს, ამა წლის სექტემბრის 19, შუადღის 12 საათზე.

3. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს უფლება მიეცეს,—რომელისამე განსაკუთრებულ გარემოების გამო,-თუ საჭიროდ სცნობს, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება მოქმედებისათვის მეორე მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდისაც

1919 წ. ავგვისტოს 2 ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. ალ. ლომთათიძე

შტატი*)

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლისა და მისი კანცელარიისა.

თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა.	რიცხვი.	თვითეულ ს. თვიურად. ძირითადი.	50% დამატება თანახმად ა. წ. მაისის 20-ს დეკრეტისა.	სულ თვიურად.	წლიურად.	ყველას წლიურად.
პირადი შემადგენლობის შენახვა.						
განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი (ტფილისში ორი, ქუთაისში ერთი, სოხუმში ერთი)	4	1050	400	1450	17400	69600
საქმის მწარმოებელი (იგივე თარჯიმანი) .	4	550	275	825	9900	39600
გზირი	4	300	300	600	7200	28800
ჯამი. .	—	1900				138000
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი . .	4	150			1800	7200
ჯამი. .	—	150			1800	7200
საგზაო და დღიური ხარჯი	4	500			6000	24000
ჯამი. .	—	500			6000	24000
საერთო ჯამი. .	—	2550			30000	169200

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

*) დეკრეტი სასამართლოს საგამომძიებლო ინსტიტუტის შესანახად დამატებითი 1.589.500 მან. გადადების დაბეჭდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" 21 აგვისტოს 185 №-ში. **რედ.**

შტატი

უდიდეს საქმეთა გამომძიებლის და მის კანცელარიისა.

თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა.	რიცხვი.	თვითეულს. თვიურად. ძირითადი.	50% დამატება ნახ. ა. წ. მაისის 20-ს დეკრეტისა	სულ თვიურად	წლიურად	ყველას წლიურად.
პირველი შედგენილობის შენახვა.						
უდიდეს საქმეთა გამომძიებელი	1	1100	400	1500	18000	18000
საქმის მწარმოებელი	1	550	275	825	9900	9900
შიკრიკი	1	300	300	600	7200	7200
ჯამი .		1950	975	2925	25100	35100
საკანცელარიო ხარჯი		150	—	—	1800	1800
ჯამი .		150	—	—	1800	1800
საგზაო და დღიური ხარჯი		500	—	—	6000	6000
ჯამი .		500	—	—	6000	6000
საერთო ჯამი .		2600	975	2925	42900	42900

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

შეცდომის გასწორება:

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" № 186-ში (აგვისტოს 22) დაბეჭდილ გზათა დეპარტამენტის ცენტრალ. ორგანოს ხარჯთ-აღრიცხვაში მე-2-ე გრაფაში „დეპარტამენტის და საინჟენერო საბჭოებისათვის 16780 მან." უნდა იყოს „დეპარტამენტისა და საინჟენერო საბჭოსათვის 16750 მანეთი".

ცირკულარი.

შრომის სამინისტრო აცხადებს ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ დამფუძნებელ კრების ამა წლ. 17 ივნისის დეკრეტის თანახმათ, უქმე დღეებიდან, რომლებიც მიღებულია მრეწვ. შრომის დებულების 108 მუხ და ჩამოთვლილია ამიერ-კავკასიის კომისარიატის მე-20 პუნქტში 8 საათ. სამუშაო დღეზე, როდესაც მუშაობა აკრძალულია, გამორიცხულია შემდეგი უქმეები:

1. მირქმა უფლისა, 2. ვნების კვირის პარასკევი, 3. აღდგომის კვირის სამშაბათი, 4. სულის წმინდის მოფენის მეორე დღე, 5. ფერის ცვალება. 6. ღვთის მშობლის მიძინება. 7. ჯვართ ამაღლება, 8. ტაძრათ მიყვანება.

შრომის მინისტრის ამხ. **ერაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

19 **აგვისტოს სხდომა.**

აფხაზეთის სკოლათა მართვა-გამგეობა.

ვიდრე განისაზღვრებოდეს საზოგადოთ სკოლათა მართვა-გამგეობის წესები საერთო მასშტაბით: 1) აფხაზეთის საზღვრებში არსებული პირველ-დაწყებითი და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში მომავალ სასწავლო წლიდან გადაეცეს მართვა-გამგეობისათვის რესპუბლიკაში მოქმედ კანონდებულების თანახმათ ადგილობრივ ერობათა და საქალაქო თვითმართველობებს, 2) აფხაზეთის კომისარიატს მიეკუთვნოს უფლება ამ სკოლებში აწარმოვოს ადგილობრივი საერთო კონტროლი, 3) ამავე კომისარიატს მიეცეს უფლება ადგილობრივ საშუალო სკოლების სასწავლო და სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლათ მიიღოს სათანადო ზომები და აგრეთვე პირათ შემადგენლობაში შეტანის ცვლილებანი განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით და მისგან დასტურით და 4) რაც შეეხება კრედიტებს ერობებს და ქალაქებს გადაეცემა ის კრედიტი, რომელიც მათ სკოლებისათვის არსებობს განათლების სამინისტროს განკარგულებაში, ხოლო საშუალო სკოლების ფულს ანაწილებს კომისარიატი იმ კრედიტების მიხედვით და იმ დანიშნულებით, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ.

სასჯელის შემცირება.

სვიმონ ალექსადრეს ძე თავაძე და ილია კონსტანტინეს ძე ედიბერიძეს ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ამა წლის ივნისის 12-ის განაჩენით გადაწყვეტილი სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ უვადო კატორღით ყოველივე ღირსების ახდით.

ივანე ზოსიმეს ძე სიორიძეს და ივლიანე ოტინას ძე კვირკველიას ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ამა წლის ივნისის 21-ის განაჩენით გადაწყვეტილ სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ უვადო კატორღით ყოველივე ღირსების ახდით.

უარი სასჯელის პატიების შესახებ.

აკაკი ღენტორის ძე გვალიას თხოვნა ქუ-

თაისის საგანგებო სასამართლოს ამა წლის ივნისის 12 ის განაჩენით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქმნას დატოვებული,

განაჩენი ალ. სარაჯიშვილის მკვლელებზე.

გიგა იოსების ძე ზარდიაშვილს, ილიკო იესეს ძე ზარდიაშვილს და ლევან იასონის ძე ზარ დიაშვილს ტფილისის საგანგებო სასამართლოს ამა წლის ივლისის 7-ის განაჩენით გადაწყვეტილი სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ უვადო კატორღათ. ალექსი გიოს ძე გოისაშვილის, ნიკა თურმანის ძე კიკოლაშვილის, ლევან გიგოლას ძე ზარდიაშვილის, გიორგი ვანოს ძე მინდორაშვილის, ივანე ლევანის ძე ღორთქლიშვილის და გიორგი დავითის ძე დავლიშვილის თხოვნები ნაჩვენებ სასამართლოს იმავე განაჩენით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქმნას დატოვებული.

დანიშვნანი.

ქუთაისის საგანგებო სასამართლოს წევრათ დაინიშნოს ოლქის სასამართლოს წევრი მიხეილ თუმანიშვილი თავის თანამდებობაზე დატოვებით.

—

სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი ე. გ. ბოკერია და იმავე სასამართლოს წევრები დ. კ. ემუხვარი და ვ. ა. შერვაშიძე განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან პირველი ორი, დღიდან მთავრობის დადგენილებისა, და უკანასკნელი ამა წლის თებერვლის 8-დან.

—

დ. გ. შერვაშიძე დაინიშნოს სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგათ.

სახალხო განათლების სამინისტროში.

ცირკულიარი ახალ ენების შესახებ.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარგამგემ სერგი დანელიამ ამ დღეებში შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა საშუალო და უმაღლეს დაწყებითი სკოლების უფროსებს.

სხვა და სხვა ისტორიულ მიზეზთა ზეგავლენით ჩვენი მოზარდი თაობა ფრიად არანორმალურ სწავლების პირობებში იმყოფება. ამ პირობათა გამო ნორჩს ბავშვს, რომელსაც ჯერ თავისი დედა-ენა ვერ შუთვისებია რიგიანად, რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად შესწავლა უხდება. ხშირად ამისათვის მოწაფე, ათავებს ჩვენს სასწავლებელს ისე, რომ მან არც ერთი ენა არ იცის წარჩინებულად. გარდა ამისა, მრავალ ენათა შესწავლა იმ ზომაზედ იპყრობს მოწაფის ენერგიას, რომ მას ნაკლებად რჩება დრო რეალური ცოდნის შესაძენად.

ეს ნაკლულევანება მოითხოვს ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის შეცვლას, რათა, ერთის მხრით, ვერბალური სწავლელების შეკვეთით მეტი ადგილი დაეთმოს რეალურ სწავლებას, მეორე მხრით კი, თვით ენების სწავლება უფრო რაციონალურად სწარმოებდეს მოსწავლის ენერგიის მეტი კონცენტრაციის დაცვით.

ამ მოსაზრებით სახალხო განათლების სამინისტრო საჭიროდ სცნობს, რომ მომავალ სასწავლო წლიდან ყველა სახელმწიფო სასწავლებლებში ახალი უცხო ენების (ფრანგულის და გერმანულის) სწავლება შეიცვალოს ქვემოაღნიშნულ წესით:

I. თუ კლასი პირველად იწყებს ახალ უცხო ენების შესწავლას, სასწავლებლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს შემდეგი დებულებით: 1. თითოეულ კლასში ან კლასის განყოფილებაში (თუ კლასი ორ-ან მრავალ კომპლექტიანია) გარდა რუსული ენისა სავალდებულოდ ისწავლება მხოლოდ ერთი უცხო ენა: ან ფრანგული, ან გერმანული, 2. საკითხს იმის შესახებ რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს სავალდებულოდ, ფრანგული თუ გერმანული, საბოლოოდ სწყვეტს პედაგოგიური საბჭო. 3. სავალდებულო უცხო ენის არჩევის დროს პედაგოგიური საბჭო ღებულობს მხედველობაში: ა. მოწაფეთა მშობლების სურვილს (თუ მშობლების უმრავლესობამ მოისურვა, მაგალითად, რომ მათმა ბავშვებმა ფრანგული ენა ისწავლონ, ამას პედაგოგიურმა საბჭომ უნდა გაუწიოს ანგარიში სავალდებულო ენის არჩევის დროს). ბ. ადგილობრივ მასწავლებელთა ძალებს. 4. შემდეგ კლასებში მოსწავლენი განაგრძობენ ერთხელ არჩეულ სავალდებულო ენის სწავლას.

II. თუ კლასს ერთი ახალი უცხო ენა (ან ფრანგული, ან გერმანული,) უკვე უსწავლია, ის მხოლოდ განაგრძობს ამ ენის სავალდებულოდ სწავლას. მეორე უცხო ენის შემოღება, როგორც სავალდებულო საგნის, ამ კლასში არ მოხდება.

III. თუ კლასს უკვე უსწავლია წინა წლებში ორივე უცხო ენა, ფრანგულიც და გერმანულიც, ის განაგრძობს ამ ენების სავალდებულოდ სწავლებას არსებული პროგრამების მიხედვით.

გაცნობებთ რა ამ განკარგულებას, გთხოვთ მიიღოთ თქვენგან დამოკიდებული ზომები მის შესასრულებლად და შედეგები მომახსენოთ მე.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

აგვისტოს 26. ფურცელი 1.

მოსკოვი: აგვ. 25 ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი: აგვ. 25. სამხედრო ცნობა. აგვ. 25 ჩრდილოეთის ფრონტი: მეჟომერის რაიონში ოლონეცის მიმართ. ლადოგის ტბის ნაპირზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლუგის რაიონში პლიუსის დასავლეთით 2 სოფელი დავიჭირეთ. პსკოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია სოფელი აიღო და ხელში ჩაიგდო ტყვიის მფრქვეველები. დვინსკის რაიონში უკიანის მიმართ. ნოვო ალექსანდროვსკიდან 10 ვერსით დავიხიეთ. ნოვოსვენციანის მიმართ. დრუსოვიჩის რაიონში ბრძოლა გრძელდება. პლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. უნიჩის ხაზი დაიჭირა. სამხრეთით მტერი შეეცადა ბერეზინაზე გადასვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენ ჟიტომირი დავიბრუნეთ. პეტლიურას ჯარმა ფასტოვი და ბელაია ცერკოვი დაიჭირა. დნეპრის რაიონში დენიკინელებმა კანევი დაიჭირეს. მარცხენა ნაპირზე პარიშევსკის რაიონში დაიხია. შავ ზღვაზე ინგლისის ესკადრის 30 სამხედრო გემებიდან სროლის შემდეგ მტერმა დესანტი გადმოსხა და რდესა აიღო.

მასკოვი. აგვ. 25. პოლონეთში დომბროვის სამთო რაიონში 3500 მუშა გაიფიცა. ციმბირში ბოლშევიკთა რაზმი მდ. ამურზე იაპონელების რაზმებს ებძვის. პეტლიურას, გრიგორიევის და პოლონელების მიერ მოწყობილ რბევის დროს უკრაინაში მოკლულია 90,000 ებრაელი. მინსკის ფრონტზე პოლონეთის ლეგიონერების მიერ დაჭერილ ადგილებში გლეხები მემამულეების წინააღმდეგ აჯანყდნენ.

ლიონი. აგვ. 25. თუ სილეზიაში ნახშირის დამუშავება არ გადიდდა ცენტ. ევროპის რკ. გზებზე 10 დღის შემდეგ მოძრაობა შესწყდება. სილეზიაში ძლიერ გავრცელებულმა მუშების ჩხრეკამ და დაპატიმრებამ, რაც გერმანიის მთავრობის განკარგულებით ხდებოდა, საერთო გაფიცვები გამოიწვია. პოლონელებმა გერმანელებთან ნამდვილი ომი დაიწყეს. გერმანელებმა მკაცრი რეპრესიები დაიწყეს, რის გამოც პოლონელები სილეზიიდან გარბიან და გერმანელები მძევლებად მიჰყავთ.

ნაუენი. აგვ. 25. ინსბურკიდან მოსული ნამდვილი ცნობებით, შტირიის, კარინტიის და ტიროლის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა გადასწყვიტეს საზავო ხელშეკრულება არ აღიარონ. იმავე ქვეყნის სოც.-დემოკრატების წარმომადგენელები ფიქრობენ ხმის მიცემაზე თავი შეიკავონ იმ შემთხვევაშიც კი თუ ვენის პარტიის ლიდერების მხრით ძალდატანება იქნება. განსაკუთრებით ტიროლია წინააღმდეგია ხელშეკრულებისა იმ დრომდე, სანამ გერმანიის ტახტი ავსტრიისას არ შეუერთდება.

ფრანგული პრესა.

უნგრეთის პოლიტიკურ მდგომარეობის განხილვის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ერცჰერცოგი იოსები არ სცნოს და შესაფერი დეპეშა გაუგზავნა მოკავშირეთა კომისიას ბუდაპეშტში, რომ მოკავშირეებს ძალიან სურთ მტკიცე ზავით შეეკრან უნგრეთის ხალხს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვთ, ვიდრე ახლანდელი მთავრობის ხელშია ძალა უფლება. მოკავშირენი კიცხავენ ამ მთავრობას, რადგან მან გადატრიალების მოხდენით და უცხო სახელმწიფოების ჯარის შემწეობით ჩაიგდო ხელში ძალა უფლება და სათავეში ჩაუყენა ჰაბსბურგი, რომელსაც სხვებთან ერთად ბრალად ედება ომის გამოწვევა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა იოსების განდევნა და მხოლოდ მაშინ შეიძლება ნდობის ღირსი ეროვნულ ყრილობის მოწვევა.

ვენის გაზეთები დაბეჯითებით იუწყებიან, ერცჰერცოგის იოსების წასვლას, მაგრამ ეს ცნობა ჯერაც არ დადასტურებულა.

განზრახულია სილეზიის ამბების გამოსარკვევად იქ გერმანელთა და პოლონელთა შერეული კომისია გაიგზავნოს. გერმანიის მთავრობა თანახმაა ზემო სილეზიას ავტონომია მისცეს.

„ჰერალდ-“ის ცნობით, მალე გამოცხადდება, რომ ხალხთა ლიგა ჟენევიდან ბრიუსელში გადავა.

მოკავშირეებმა რუმინიას ახალი ნოტა გაუგზავნეს უნგრეთის დაპყრობის და იქ მოხდენილ რეკვიზიციების შესახებ. რუმინიას წინადადება ეძლევა პატივისცემით მოეპყრას იმ პრინციპებს, რომელიც ყველა მოლაპარაკებას დაედვა საფუძვლად. ანაზღაურებას ერთი ხელმწიფო სხვების მონაწილეობის მიუღებლად ვერ მიიღებს. ამიტომ რუმინიას წინადადება ეძლევა აღუსხოს უნგრეთში მოხდენილ ყველა რეკვიზიცია, რათა ეს მხედველობაში იქნეს მიღებული, როდესაც გამოიკვლევენ, თუ რა უნდა მიიღოს რუმინიამ უნგრეთისაგან ხელშეკრულების ძალით.

კვირას შესდგა საზავო კონფერენციის კომისიათა მუშაობის „გამაერთიანებელ კომიტეტის“ სხდომა ავსტრიის კონტრ წინადადებათა პასუხის რედაქციის შესამუშავებლად. უმაღლესი საბჭო ორშაბათს განიხილავს ამ საბუთს, მოკავშირეთა საბოლოო პირობების გამოსამუშავებლად.

მოსკოვი. (გაგრძელება.) **პარიზი** აგვ. 25. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ კურლიანდიაში, მიუხედავად დაპირებისა, გერმანელები ძველებურად განაგრძობენ მოქმედებას. რუსეთის გერმანელებმა ზომები მიიღეს ახალ საოპერაციო კორპუსის შესადგენად ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მომავალში ფიქრობენ პეტროგრადზე დაცემას. რეველში ინგლისის სამხედრო გემები სამხედრო მასალებით დატვირთული მოვიდენ.

№ ის არმიის შტაბის ცნობა. აგვ. 25. პსკოვში პანიკაა. ატამან ბოლხოვიჩის შტაბი ქალაქიდან გაიქცა. ესტანიის პოლკებმა გადასყვიტეს ფრონტიდან წასვლა.

ჰელსინგფორსი, აგვ. 22. „სიბირსკაია რეჩ“-ი იუწყება რომ ციმბირის ჯარის დამხმარებელ ორგანიზაციების ყრილობას დაესწრენ: ადმირალი კოლჩაკი, პრემიერი ვოლოგადსკი, მოკავშირე მთავრობათა, ვაჭრობა მრეწველობის ორგანიზაციების, ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლები. პროფესორმა კუნისმა მოუწოდა ყველას სერიოზულად განიხილონ ბიუჯეტის საკითხი. მუშათა პრობლემა და აგრარული საკითხი, პრემიერის საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტ რევოლიუციონერების სახელით ძველმა ბელადმა ვასილი პერუნინმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობას ესაჭიროება ხალხის მიერ მხარის დაჭერა, და რომ მთელი პარტია მზად არის დაიცვას მთავრობა.

ინგლისური პრესა

სამხედრო სამინისტროს ცნობით, აგვისტოს 20 მურმანსკის ახლო კაპალჩიდან 7 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მტერს შეუტია, განდევნა და რამდენიმე მილის მანძილზე სდევნა. ონეგის ტბის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის 2 რაზმი ჩვენ ხელში მყოფ (?) ზე დასხმას ეცადა, მაგრამ გზა აერიათ ერთმანეთს შეებრძოლენ და დიდათ დაზარალდნენ.

მოკავშირეები სილეზიაში ჯარის გაგზავნას აპირებენ სამთო სამრეწველო რაიონში წესიერების აღსადგენად. ამის განხორციელება ეხლა დამოკიდებულია გერმანიის თანხმობაზე, რაც ყოველ წამს არის მოსალოდნელი. ამერიკა, საფრანგეთი, დიდი ბრიტანია და იტალია თითო პოლკს გაგზავნის. მაგრამ ამერიკის დელეგაციამ უმაღლეს საბჭოს აუწყა, რომ ბრძანება სილეზიაში ჯარის გაგზავნის შესახებ ვაშინგტონიდან უნდა მოვიდეს, რადგანაც დროებით ზავში სილეზიაზე ინტერფერია ნათქვამი, საზავო ხელშეკრულება კი ამერიკის სენატს ჯერ არ დუმტკიცებია.

გერმანული პრესა

დემოკრატიული გაზეთი თანაგრძნობით ეპყრობა „დოიტშე-ალგემაინე ცაიტუნგ“-ის წერილს კაბინეტში დემოკრატიის წარმომადგენლების შესვლის შესახებ. დემოკრატების, სოციალისტების და ცენტრის პარტიის გაერთიანებული მუშაობა შეორისძიებაზე ხელის აღება იქნება.

ელზას ლორენში გერმანიის მოწინააღმდეგენი არა მალავენ თავის უკმაყოფილებას ფრანგების ბატონობით.

გერმანიამ დანიაში 3 მილიონი ტონა კარტოფილი იყიდა.

სომხეთი

სომეხ მუსულმანთა შეთანხმება ყარაბაღის საკითხში.

„ადერბეიჯანის“ გადმოცემით—„16 აგვისტოს სომეხთა მეშვიდე ყრილობის წარმომადგენელნი, 20 კაცამდე, შეშიკენდიდან ქალაქ შუშაში მივიდნენ გენერალ გუბერნატორთან მოსალაპარაკებლათ. ორი დღის მსჯელობის შემდეგ შემუშავებულ იქნა შეთანხმების ტექსტი 26 მუხლიდან შემდგარი, მთავარი პუნქტები შემდეგია: შეთანხმება დროებითია, ვიდრე ყარაბაღის საკითხი არ გადაწყდება საზავო კონფერენციაზე; შუშის, ჯევანშირის და ჯებრაილის მაზრების სომხური ნაწილები ემორჩილებიან ადერბეიჯანს; გენერალ გუბერნატორთან არსდება საბჭო, რომელშიაც შედის სამი სომეხი და სამი მუსლიმანი; გენერალ-გუბერნატორის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწედ ინიშნება სომეხი; ჯარი რჩება ბანკენდში და შუშაში მშვიდობიანის დროის მიხედვით; სომეხთა და მუსლიმანთ განიარაღება ყარაბაღში შეჩერებულია; შეთანხმების პროექტი გადაგზავნილ იქნა ყრილობაზე შუშიკენტში, სადაც ის დამტკიცდა. მიიღეს თუ არა ცნობა შეთანხმების დამტკიცების შესახებ, ქალაქი დროშებით იქნა მორთული. ქალაქიდანვე მოედნებზე და ქუჩებში მუსიკა უკრავდა. დაწესებულებებში მუშაობა შესწყდა, მოელიან სომეხთა ყრილობის შუშაში გადატანას. ამგვარათ, ყარაბაღის საკითხი გადაჭრილათ ითვლება, რაც ყველაში იწვევს სიხარულს და კმაყოფილებას,

საგანგებო რაზმის მოქმედება

შინაგა- საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ აღმოაჩინა ყალბ ბონების დასამზადებელი მანქანა, რომელიც ბათუმის მცხოვრებს კონსტანტინე გერაკლის ძე ქორიძეს უნდა გაეტანა ტფილისიდან. ქორიძე დაპატიმრებულია. ბინის გაჩხრეკის დროს მას ამოაჩდა $1^1/_2$ ჰ. ქაღალდები ბონების დასამზადებლად.

ამავე რაზმმა სტამბა „ხელოვნება“ და „პროგრესში“ აღმოაჩინა ბოლშევიკური ბროშურები და პროკლამაციები ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. აღმოჩენილს კონფისკაცია გაუკეთეს, სტამბა დაიკეტა, სტამბის პატრონი დაატუსაღეს. დამნაშავეთა აღმოსაჩენათ ზომებია მიღებული.

რკინის გზაზე.

რკინის გზის შემოსავალი.

საქართველოს სახაზინო რკინის გზების შემოსავალი თან და თან მატულობს მიუხედავათ იმისა, რომ აპრილის შემდეგ ტარიფის ცვლილება არ მომხდარა. აღნიშნული მომატება შემოსავალისა აიხსნება მოძრაობის თანდათანობითი მოწესრიგებით, უფლებით და უფასო მგზავრობის შემცირებით და სხვა და სხვა ღონისძიებით რკინის გზის მოქმედების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

გზათა დეპარტამენტის ცნობებით შემოსავალი ნაღდი ფულით რკინის გზის კასებში (არ არის ჩათვლილი მოკავშირეთა სარდლობის საჰხედრო მიმოზიდვისათვის მისაღები ფული) იყო:

1919 წ. აპრილი—12.927.616 მან.
მაისი —15.789.833 მან.
ივნისი —18.445.055 მან.
ივლისი —22.824.103 მან.

—

23 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე სასწრაფო მატარებლით № 6 ტფილისიდან ბაქოს გაემგზავრა გენ. ბარათოვი.

—

24 აგვისტოს იმავე მატარებლით ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა შვეიცარიის კონსული ფიურსტენბერგი.

—

24 აგვისტოს, დღის 12 საათზე ერევნიდან ტფილისში დაბრუნდა პოლკოვნიკი გასკელი.

—

18 აგვისტოდან ყოველ .დღე ბაქოდან ბათუმამდე იგზავნება ორი მატარებელი თითო 45 ქვაბი ნავთით.

—

25 აგვისტომდე ბაქოდან ტფილისით გაემ. გზავრა ბათუმში ინგლისელთა ჯარების 16 ეშელონი.

პროლეტარული ფრონტის დღე.

ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ ტფილისის ყველა მუშებს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„ამხანაგებო! პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაადგინა მოაწყოს 31 აგვისტოს „პროლეტარული ფრონტის დღე“ მუშათა კლასის ძალების სადემონსტრაციოდ და მისი სოლიდარობის აღსანიშნავად რესპუბლიკა საზღვრების საომარ თხრილებში მყოფ ამხანაგებისადმი. ამ დღეს, 31 აგვისტოს, ტფილისის ყველა მუშები, უნდა მუშაობდენ თავიანთ დაზგებზე, ერთსულოვანათ შეკავშირებული, ერთის ფიქრით, რომელიც ფრონტისაკენ უნდა იყოს მიმართული, ერთის ნებისყოფით, რომ ბოლომდე დავიცვათ თავისუფლება და დემოკრატია. ამ უქმე დღეს, როგორც სხვა ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, ყველა მუშამ უნდა იმუშაოს, რათა დაანახოს ქვეყანას, რომ ჩვენ არ დაგვივიწყნია ფრონტი, რომ მზათა ვართ შეუსვენებლად ვიმუშაოთ რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და დემოკრატიის ბატონობის განსამტკიცებლად. დღიურ ხელფასს მუშები გადასდებენ ფრონტთან დასაკავშირებელ ფონდის გასაძლიერებლად, პროლეტარულ ზურგთან მჭიდროთ შესაერთებლათ.

ამხანაგებო, ამ დღის ჯეროვნად დაგვირგვინების საქმე, თქვენს მძლავრ ხელშია. ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოდის სამუშაოთ, დაანახვეთ თავისუფლების მტრებს მუშათა კლასის სიძლიერე და ერთსულოვნება, რომ ის ყოველთვის მზად არის ეკვეთოს მტერს და სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს რეაქციას და მის მესვეურთ.

ამხანაგებო, მაშ ერთსულოვნათ სამუშაოზე!

ყველანი წინ, რეაქციასთან ბრძოლაში!

გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს რევოლიუციის მონაპოვართა დამცველებს!

გაუმარჯოს საქართველოს მებრძოლ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს, სოციალიზმს!

მასწავლებელთა კურსები

მასწავლებელთა საზაფხულო კურსების ისტორია არც ისე ახალია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. პირველად ასეთი კურსები დაარსდა დასავლეთ ევროპაში, უპირველესი ადგილი და ინიციატივა მასწავლებელთა საზაფხულო კურსების დაარსებისა ეკუთვნის გერმანიას, როდესაც გერმანია ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, როგორც დღეს საქართველო იმყოფება, ე. ი. საყოველთაო სწავლის შემოღების დროს, როდესაც საკმაო კონტინგენტი მომზადებულ მასწავლებელთა არ იყო მაშინ გერმანია იძულებული შეიქნა დაენიშნა მასწავლებლებად არა სპეციალური პირნიც. დროთა ვითარების გამო საჭირო შეიქმნა მასწავლებელთა მეტი მომზადება, როგორც თეორეტიულად, ისე პრაკტიკულად, მაგრამ ასეთ კრიზისმა, დიდხანს გასტანა. ბოლოს მოხდა მინისტრთა თათბირი, სადაც დაისვა საკითხი სწავლა-აღზრდის ჯეროვან ნიადაგზე დაყენების შესახებ.

თითქმის ყველა ერთხმად აღიარებდა და წყებული ბისმარკიდან უბრალო მინისტრამდე, რომ აუცილებელ საჭიროა სახალხო მასწავლებელთა მეტი მომზადება, რათა სკოლა და ეყენებიათ ნამდვილ, ჭეშმარიტ საღ პედაგოგიურ ნიადაგზე. ერთნი მოითხოვნდენ, რომ ყველა იმ მასწავლებელთათვის, რომლებთაც არ ჰქონდათ სათანადო მოწმობები, მოეთხოვათ შესაფერისი გამოცდები.

ასეთ მოსაზრების წინააღმდეგ გაილაშქრა თვით შორს მჭვრეტელმა ბისმარკმა, რომელიც გაცხარებული ამტკიცებდა, რომ საერთოდ გამოცდები არის ლატარია და შესაძლებელია გამოცდებთან ერთად სწავლა-განათლების საქმე დაიღუპოსო. საჭიროა მოეწყოს იმ მასწავლებელთათვის, რომლებთაც არ აქვთ შესაფერისი მომზადება მიღებული, ეგრეთ წოდებული მასწავლებელთა საზაფხულო კურსები. ასეთი სისტემატიური კურსებით მივცემთ მათ ჩვენ ნამდვილ მომზადებას და არა ერთ ფურცელ ქაღალდსო.

მართლაც გასჭრა ამ აზრმაც. სწორედ იმ კრებაზე გადაწყდა მოწყობილიყო მასწავლებლთათვის ისეთი კურსები, სადაც ასწავლიდენ ყოველი დარგიდან; განსაკუთრებული ყურადღება უნდა ქონოდა მიქცეული მეთოდიკურ მომზადებას. იმავე წლის ზაფხულზე იქნა ასეთი კურსები მოწყობილი გერმანიის უმთავრეს პუნკტებში: ბერლინში, ლეიბციგში, მიუნხენში და დრეზდენში.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლეიპციგის კურსებმა თავის მსმენელთა და მომზადებულ ლექტორთა მემადგენლობით. ასეთ საზაფხულო კურსებზე გადიოდენ საშუალო კურსის მოცულობას. გარდა საერთო განათლების საგნებისა ხსენებულ კურსებზე ისწავლებოდა სპეციალურ-პედაგოგიური საგნები, როგორიც არის: პედაგოგიკა, დიდაკტიკა, მეთოდიკა, ლოღიკა, ხატვა-ხაზვა, ძერწვა, გალობა და სხვა.

ასეთ კურსებს აწყობდა მაშინდელი გერმანიის სახალხო განათლების სამინისტრო ყოველ წლურად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თანდათანობით, იქნა გაფართოვებული ასეთი კურსების პროგრამები. თვით მასწავლებელთა კორპორაციები იმუშავებდენ ბოლო დროს მოსაწყობ კურსების პროგრამებს და სათანადო მთავრობის დამტკიცების შემდეგ იწყებდენ განხორციელებას.

ბოლო დროს ბევრ ალაგას მასწავლებელთა კურსებზე კითხულობდენ ლექციებს პოლიტიკურ ეკონომიიდანაც.

ასეთმა ყოველ მხრივ შინაარსიანმა კურსებმა მოუტანა მასწავლებლებს დიდი სარგებლობა. ბევრ ასეთ კურსებზე ნამყოფ მასწავლებლებს პატარა ენციკლოპედისტებს ეძახდენ, რაც სინამდვილეს შეეფერებოდა. დაინახეს რა დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებმა ასეთი დიადი მნიშვნელობა მასწავლებელთა კურსების, დაუყონებლივ შეუდგნენ ამგვარ კურსების მოწყობას, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინა უხვად ხარჯავდა საჭირო თანხას. გერმანიიდან იწყო და გავრცელდა ასეთი კურსები მთელ ევროპის კონტინენტზე.

ნ. გ—ვა.

მილიციაში

22 აგვისტოს სისხ. სამ. მილიც. დააპატიმრა ანნა კოლესნიკოვა, რომელმაც ავაკ არანუნიანცს მოპპარა თეთრეული, ღირებული 800 მან. თეთრეული პატრონს გადაეცა.

—

ამავე მილიციის აგენტმა დააპატიმრა მარიამ კოსოცავა და ევდოკია ევდოკიმოვა, რომელთაც 50 ათას მან. ღირებული ბრილიანტისა და ოქროს ნივთები მოჰპარეს მიხეილ ვალიშვილს.

—

ამავე მილიციამ დააპატიმრა ბარბარე შუგინა და მარიამ საგინაშვილი, რომელთაც მოუპარავთ ანასტასია ლიუბორსკაიასათვის ხალიჩა ღირებული 25000 მან. და 500 მან. გაუყიდიათ, ხალიჩა ჩამოერთვა მყიდველს და პატრონს გადაეცა. საქმე კი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

—

23 აგვისტოს დააპატიმრეს ალექსანდრა ვალიშვილი, რომელსაც სოფიო ბარნოვსკაიასთვის მოუპარავს ოქროს ნივთები ღირებული 6 ათას მანეთად.

—

22 აგვისტოს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ამბარცუმ ონანოვი, რომელსაც გარეგინ ტერ მინასიანცისთვის მოუპარავს სახლის ავეჯეულობა და გაუყიდია. გაყიდული ნივთები მყიდველს ჩამოერთვა და პატრონს გადაეცა ონანოვი კი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

—

ამავე მილიციამ დააპატიმრა გრიგოლ ნიკოლოზის ძე გელაშვილი, რომელმაც წარადგინა ფოსტაში ბაქოს საფოსტო კონტორის 2 ხელწერილი თითო 5000 მან. და მოითხოვა გადმოგზავნილი 10000 მან., ცნობების შეკრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ფული მიღებია 21 ივნისს მე 12 კომისარიატის მიერ შემოწმებულ უწყებით ვილაც ტრამვაის მოსამსახურეს.

სხვა და სხვა.

✦ ახალ სენაკის საოსტატო სემინარიაში საჭიროა მასწავლებელნი: ფილოლოგი, მათემატიკის დ ხატვა-ხაზვის; მასწავლებელთ მიეცემათ გაკვეთილები აგრეთვე ადგილობრივ გიმნაზიაში. მსურველნი გამოუგზავნიან თხოვნას, ქ. ახალ სენაკში, გიმნაზიის დირექტორს.

✦ ქუთაისის მ. დუნდუას ასულის საქალო გიმნაზიაში, პროფესიონალური განყოფილებით, მიმდინარე 1919—20 სასწავლო წლიდან იხსნება მორიგი მეექვსე კლასი. სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დან, მისაღები დ განმეორებითი გამოცდები კი სექტემბრის 8 დან. თხოვნები მიიღება ყოველდღე, დილის 9 ს. 2 საათამდი, ვაკანსია ყველა კლასშია. (ბალახვანის ქუჩა, ყოფილი სახაზინო პალატის პირდაპირ.)

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალ-სენაკის განყოფილების ნივთიერი საშუალებათა გასაძლიერებლად ადგილობრივი ქალაქის ბაღში გაიმართება 31 აგვისტოს (ახალი სტ.) დიდი სახალხო სეირნობა ლატარია—ალეგრით და სხვა და სხვა ნაირი გასართობებით.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს: ს. კიწიაში (სამეგრელო) მიმდინარე წლის 9 აგვისტოს (ახალი სტ.) კიწიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ეზოში ფრონტის დღის მომწყობ კომისიის გამგეობის ხელმძღვანელობით გაიმართა სეირნობა, საღამოს კი იმავე სასწავლებლის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ კულტურულ მიზნით წარმოდგენილ იქნა პიესა: „დაძმა“ ვ. გუნიასი.

როგორც შემოსავალ-გასავლის საბუთებიდან აღმოჩნდა: გაყიდულ ბილეთებიდან შემოსულა 3,220 მან., ლატარია, ყვავილები, აუქციონი, სეირნობა და ბუფეტიდან—4014 მ. 5 კაპ. სულ—7234 მან. და 5 კაპეიკი.

გასავალი ანგარიშების მიხედვით—5734 მ.; ამრიგად წმიდა შემოსავალი ფრონტის დღეს და სხვა ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებებს დარჩა 1500 მანეთი, რომელიც განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: 1, ფრონტის სასარგებლოდ გაეგზავნა მთავარ კომიტეტს ტფილისში 700 მანეთი; 2, კიწიის ფოსტა-ტელეგრაფს 266 მან.—40 კ; 3) წიგნთსაცავ სამკითხველოს 266 მ. 30 კ; 4) კიწიის სცენის ფონდის დასაარსებლად 266 მან. 30 კ; ყველა ეს განაწილებული ფულები დანიშნულებისამებრ გადაეცა ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ.

ფრონტის დღის და წარმოდგენის მომწყობი გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს როგორც ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, ისე გამგეობის დამხმარე კომისიის წევრებს: კატო, საშა დ ნესტორ ჩაჩიბაიებს, ლუბა დადიანს და ფეოდოსია ცაგურიას, ნადია ნადარაიასს, ვალენტინა ისიდორე დგებუაძეს ასულს და ალექსანდრე კილასონიას, ალექსანდრა კვაშილავას ასულს და გიორგი უტუნას ძე გადილიას, პაშა ბოკუჩავას, ცოცო ბოკუჩავასა დადიანის ასულს, მართა ანჯაფარიძეს, მინადორა ცაგურიას და მიხეილ ხარებავას, იულონ ხარბედიას, მელენტი შონს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და უამრავი შრომა და დახმარება აღმოუჩინეს ამ დიად საქმეს.

გამგეობის თავმჯდომარე **ფუცუ ბერიძისა.**

წევრნი: { დეკანოზი **კონდრატე ჩაჩიბაია.**
ვ. გ. ხუხუნი.

წესდება

კავკასია-ევროპიულ ბანკისა.

(ყოფილი „ა. ფრიდონოვისა და ამხანაგობისა“)

ა ხ ლ ი.

ნამდვილად ბუდ აკვანია „ვალტაკა“ 20 აგვისტოს 1918 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (ხელი მოაწერა) **კ: კანდელაკი.**

სწორეა. კანცელარიის დირექტორი **ჭანტურიშვილი.**

§ 17.

ბანკს აქვს ნება განსაკურებულ საპატიო შემთხვევაში აკუთვნოს ანუ გადეწყვიტოს თავის კლიენტებს ესრედ-წოდებული ბლანკის, კრედიტები, ე. ი. გაიღოს იმათ მაგიერ მეტი, ვიდრე სახელდახელო ანგარიშზე აქვთ ან მეტი იმაზე, ვიდრე ფასობს მათ მიერ წარმოდგენილი უზრუნველყოფილი გირაო. მხოლოდ ეს კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს საერთოდ ერთ მეათედს ბანკის ძირითადის და სათადარიგო თანხისას და არც შეიძლება ვადა მათი ოცდა ათს დღეზედ მეტი იყოს; და როცა ეს ვადა გავა და ბანკის მიერ დახარჯული ფული არ იქნება შევსებული, ბანკის გამგეობა უნდა შეუდგეს ამ ფულის გადახდევინებას, თუ არა და—მანვე უნდა აგოს პასუხი,

§ 18.

ბანკი აწარმოებს ვექსილების და სხვა ვადიან სავაჭრო ვალდებულების ქალალდების განაღდებას, რომელიც უზრუნველყოფილია გადახდის მხრივ არა ნაკლები ორი კაცის ხელის-მოწერითა. ერთის კაცის ხელის მოწერით ბანკს შეუძლიან მიიღოს გასანაღდებლად ვექსილი მხოლოდ მაშინ, როცა იგი უზრუნველყოფილია: ა) პროცენტიან ქალალდებით, ძვირფასის ლითონებით, საქონლითა და საქონლის-მაგიერის საბუთებით, ბ) სასოფლო სამეურნეო მამულებით (§ 12, მუხ. რ.)

§ 19.

იმას, ვინც წარმოადგენს §-18 პ. ა. მოხსენებულს უზრუნველ საყოფელს გირაოს, ბანკში მისაკუთვნებელ კრედიტს, რომლის რაოდენობას გადასწყვეტს ბანკის გამგეობა, მხოლოდ კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს §-12 პ. ბ.—ში ნება-დართულ სესხს იმავე გირაოებით. ამ რაოდენობის ვექსილებს ბანკი იღებს გასანაღდებლად, როცა ეგ ვექსილები გაცემულია იმისაგან, ვისაც კრედიტი აქვს გადაწყვეტილი, აგრეთვე სხვის ვექსილებს მის საბლანკო წარწერით.

§ 20.

ვექსილების განაღდება, დამყარებული პირადის კრედიტის საფუძველზედ (§-18), ნივთიერად არ უზრუნველ ყოფილი, სწარმოობს მხოლოდ ნაღდის ფულით, განაღდება კი ვექსილებისა, რომელიც უზრუნველყოფილია განსაკუთრებულ გირაოთი, აგრედვე გაცემა სესხისა უზრუნველყოფილ გირაოთი, სწარმოებს როგორც ნაღდის ფულით, ისე ვადიან პროცენტიან ვალდებულების შეწყობით. ეს ვალდებულებანი ანუ ობლიგაციები სახელდებული არ არის და ეძლევა მსესხებელს მთელის სესხის რაოდენობისა, ანუ დანაწილებით თანხმად მისის სურვილისა, მხოლოდ თითოეული ვალდებულება სამასი მანეთის ღირებულების ნაკლები არ უნდა იყოს.

§ 21.

რათა უფრო უზრუნველ-ყოფილი იყოს თავის დროზედ მოშორება ამ აღნიშნულ ობლიგაციებით აღებულის ვალისა, იგი ობლიგაციები ეძლევა მსურველს, თუ სესხი აუღია საქონლის დაგირავებით სამის თვით მეტის ვადისა, ხოლო თუ სესხი აღებულია ფასიან ქალალდების და ლითონის დაგირავებით, ერთის თვით მეტის ვადისა, ვიდრე ის სესხია, რომლის გულისათვისაც იქნა გამოცემული ეგ ობლიგაციები. რაოდენობა ბანკის მიერ გამოცემულ ობლიგაციებისა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ბანკის ძირითად თანხის ნახევარს.

§ 22.

თუ მსესხებელმა არ გადიხადა ვადაზედ სესხი, აღებული ბანკში § 12 მ. ბ ში მოხსენებულ გირაოთი, მეორე დღეს ეგზავნება ბინაზედ თავის მიერ ნაჩვენებ მისამართით წინასწარი უწყება, რომ შვიდის დღის შეღავათი ეძლევა დღიდან ვადის გადაცილებისა და ამ ხანში გადახდება პროცენტის მაგიერ ჯარიმა

ნახევარი პროცენტი იმ ფულზედ, რაც ჰმართებს მსესხებელს. თუ მსესხებელმა ფული არ შემოიტანა შეღავათად მიცემულ კვირის განმავლობაში, მაშინ იმისი დაგირავებული ფასიანი ქაღალდები, ლითონი და სხვა საქონელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება თვით ბანკში ან ბირჟის მაკლერის შუამავლობით; ასსიგნები ოქროს მისაღებად ბანკშივე რჩება, ვიდრე და დგებოდეს ვადა იმ ასიგნებით ფულის მიღებისა ზარაფხანიდან, ან ვიდრე თვითმსესხებელი გამოისყიდის. ხოლო ზემოხსენებულ ჯარიმის მაგივრად, სახელდობრ $1/2$%, გადახდებათ ის პროცენტები, რის პირობაც იყო, დღიდან ვადის დადგომისა ბანკის სესხის სრულ გასტუმრების დღემდე, იმ ვარაუდით, რომ ყოველი თხუთმეტი დღე ჩათვლილ იქნას ნახევარ თვეთ, აგრეთვე ნაანგარიშებულ იქნას ხარჯი გირაოს გასყიდვისა და ამას გარდა კიდევ 2% გადახდეს მთელის ვალისა უპირველობისათვის (ნეუსტოიკა). ვადა გადაცილებულ ვექსილებით გადახდევინება სწარმოებს საზოგადო წესით.

§ 23

უძრავ ქონების შეძენის ნება აქვს ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ქონება სჭირდება თავდებიანად, ან თავის განყოფილებათა მოსათავსებლად და თავისთვის საწყობის გასამართავად, ისიც მხოლოდ აქციონერთა საზოგადო კრების ნებართვით.

ბანკს ნება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძინოს ან გირაოდ მიიღოს ბანკის უპირულ მოვალისაგან უძრავი ქონება, რომ ამით ააცილოს ბანკს ზარალი იმ ვალის გადაუხდელობით, რომელიც მამულის პატრონს დასდებია. ყიდვა ამისთანა მამულისა ან გირავნობის ქაღალდის შესრულება შეუძლიან ბანკს მხოლოდ გამგეობის ერთხმივის გადაწყვეტილებით და ბანკის საბჭოს დადასტურებით. გირავნობის ქაღალდები უნდა იყოს ისეთის ვადით, რომ არ აღემატებოდეს ბანკის მიერ ვექსილების განაღდებისათვის დაწესებულ ვადას. გირავნობის ქაღალდის ვადის გასვლისათანავე, თუ გირაოს პატრონი კვლავ უპირული აღმოჩნდა, ბანკი მოვალეა დაუყონებლივ შეუდგეს ვადის გადახდევინებას გირავნობის ქაღალდის ძალითა. გაყიდვა იმ უძრავის ქონებისა, რომელიც ბანკს დარჩება უპირულ მოვალისაგან, საჯარო ვაჭრობით, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

§ 24

შეძენა საკუთარის აქციებისა და აგრეთვე გაცემა სესხისა მათის დაგირავებით ბანკისათვის აღკრძალულია.

ბანცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთ. ნოტ. სუკიავაძისაგან 9 ივლისს 1919 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე გაბრიელ ივანეს ძე გალდავასადმი, რომელიც ეკუთვნოდა ლაზარე გიორგის ძე კოტორეიშვილს მდებარე ქ. ქუთაისში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 104 ოთხკუთხი საჟენი და $^5/_{10}$ ოთხკუთხიანი საჟენი, ფასი 822 მან. სიმტკიცის ბაჟი 64 მან. 76 კაპ. ამონაწერი 9 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია.

1359 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი, აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთ. ნოტ. ანჯაფარიძის მიერ 25 ივლისს 1913 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე გრიგოლ ნიკოლოზის ძე გლატკოვის მიერ, რომელიც ეკუთვნოდა ნესტორ ივანეს ძე რაზმაძეს მდებარე ქ. ფოთში მეგრელიის და კავკასიის ქუჩის შესახვევში და შესდგება მიწისაგან ზომით 280 ოთხკუთ. საჟ. ფასი 742 მან. სიმტკიცის ბაჟი 29 მან. 68 კაპ. ამონაწერი 4 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 1354 1—1

ვეჭილობა მიცემული იოსებ მოსეს ძე მინინაშვილს და პილაზს მანუახის ძე ფიჩხაძის მიერ მიხეილ მიხეილის ძე ადასკოზე და შედგენილი ბათომის ნოტარიუს ხიტოროვ-ბესტავაშვილთან 1919 წ. ივლისის 16, რეესტრი № 1856, გაუქმებულია. 1196 3—1

ნიკოლოზ მიხეილის ძე იონორაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი მიღებული სამხედრო სასწავლებლიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1207 3—1

აბრამ დავითის ძე კოგანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული 1918 წ. ივლისში და მინდობილობის ბარათი მიცემული დ. ს. ბერკოვიჩის მიერ კოგანის სახელზე. 1198 3—1

სურენ კარაპეტის ძე კასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა № 415, მიღებული ტფილისის მეოთხე გიმნაზიის კანცელარიიდან 1913 წელს, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1166 3—1

ქ. სოხუმის პირველი სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გრიგოლ შაბათავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამოქ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1497 1—1

ე. რადომსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა „ნაკლადნოები“ სამგზავრო მატარ. ტფილისის ბაქო, №№ 59143, 59144, 59145, 59146, 59147 25/VI 1919 წ. რაც გაუქმებულათ ითვლება.

ალექსანდრე ბენიამინის ძე ანანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფეხის წმენდის მოწმობა მიღებული ტფილ. ქალაქის თვითმმართველობიდან მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 1218 1—1

ალექსანდრე არაქელის ძე ტერ ბაღდასარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნებართვა ხელზე ვაჭრობისა მიღებული ტფილისის თვითმმართველობიდან. ნებართვა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1517 1—1

ქალაქ ქუთაისის პირველი უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ლევან იგივე ბასილა იაკობის ძე გაბადაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ლევან, იგივე ბასილა, იაკობის ძე გაბადაძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1345 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 10 ივლისს 1919 წ. დამტკიცდა ივნისის 30 დღესა, შესრულებული ნაყიდობა მიცემული მოქ. ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძეს მიერ მოქ. გრიგოლ შიო და კონსტანტინე პოლიევკტის ძეთ კვიცარიძეებისადმი, ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, გაბრიელის ქუჩაზედ, შენობებით, ზომით 115 კვ. საჟ. 6600 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 264 მან. მთავარი ამონაწერი 66 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 10 ივლისს 1919 წ. 1346 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივლისს 1919 წ. დამტკიცდა ივლისის 18 დღესა შესრულებული ნაყიდობა მიცემული მოქ. ოლღა იოსების ასულ ბერუჩევის მიერ—დავით იზრაილის ძე ფიჩხაძესადმი, ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში პოლიციის ქუჩაზე, შენობებით, ზომით პირველი ნაკვეთი მიწისა—სამხრ.—ჩრდ.—28 ს. სამხრ.—5 ს. ჩრდ.—5 ს. 12 გოჯი, II ნაკვ. ჩრდ.—20,40 ს. აღმ.—18 ს. დას.—28 ს. სამხრ.—7 საჟ. 180,000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 7200 მან. მთავარი ამონაწერი 1800 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 23 ივლისს 1919 წ. 1347 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ფოთის ნოტ. ვესტფადსკის მიერ 2 აპრილს 1919 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე ქ. ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მიერ, რომელიც ეკუთვნოდა ქსენია ალექსის ასულს გასან ჯელალოვს, მდებარე ქ. ფოთში დიდ კუნძულზე და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან ზომით 200 ოთხ. კ. საჟ. ფასი 25 მ., სიმტკიცის ბაჟი 9 მ. ამონაწერი 1 მ. 50 კაპ. ღერბის ქაღალდზე. 1348 1—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ფურცხვანიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და ექვსი თუმანი ფული, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთები წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში, გადასაცემად კუთვნილებისამებრ. 1154 3—3

კონსტანტინე ჯანდიერი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი ტფილისის ქართულ გიმნაზიის 8 კლასის გათავებისა № 12201 და მეტრიკული მოწმობა მიღებული ქართ. სინოდ. კანტორისაგან № 228 ჩაითვალოს გაუქმებულად. 1184 3—3

მიხეილ სიმონის ძე შეგელია ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ს. ჭოლის (ზუგ. მაზ.) კანცელარიიდან, და ჯარისკაცობიდან განთავისუფლების მოწმობა. დაკარგული საბუთები გაუქმებულათ ითვალოს. 1171 3—3

იოსებ ქრისტიფორეს ძე ჩაგმაველი აცხადებს, რომ მან. დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისაგან № 12148, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1172 3—3

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის საოლქო სასამართლოს უფროსს ნოტარიუსის მიერ 1881 წ. 2 აპრილს 422 რეესტრით უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ტფილისში ღვინის აღმართზე, რომელიც ეკუთვნის გეორგი ინაზარ კარაპეტის ძე კაზაროვებს. სიგელი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1193 3—3

ილარიონ ბესარიონის ძე ეძგვერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული ქ. ტფილისის I უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან 1919 წ. აგვისტოს 9, № 401, რომლის ძალით ეძგვერაძეს სასარგებლოდ უნდა ჩამორთმეოდა სერგო ბუაჩიძის მემკვიდრეებს 1004 მან. 1167 3—1

ვასილ გაბრიელის ძე ღარიბაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, აღებული კავკავის ქალაქის თვითმმართველობიდან 1919 წ. მაისის 17. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1189 3—3

ამიერ-კავკასიის რუსთა ერთიანული საბჭო სთხოვს იმ პირს, რომელმაც ოკეან-სად იმყოფება მარიამ თეოდორის ასული სასედკინა, რომელიც ამა წლის თებერვლიდან უცნეპოთ დაიკარგა. მისამართი: ტფილისი ამიერ კავკასიის რუსის საბჭოს მოსტოვაია, 2. 1143 3—3

სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ძმათა ელეფთერ და ედმონდ იამანდოპულოებმა დაკარგეს 13 თებერვალს 1919 წ. № 376 მიღებული ფოთოლ თამბაქოს გადასატანი მოწმობა და ხაზინის 28,000 მ. კვიტანცია 22 ოქტომბრიდან 1918 წ. № 4551—ფოთოლ თამბაქოს საფუთო გადასახადისა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 1445 3—3

ტიგრან გერასიმეს ძე ტერ აკოპოვი აცხადეს, რომ მან დაჰკერგა პასპორტი, მიღებული ქ. მოსკოვის მე-2 უბნიდან 1916 თებერვლის 16-ს, № 554. 1192 3—3

პორ. ოქროპირ ბატონიას ძე ჯანჯღავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერის (ბრაუნინგის სისტემის) ტარების ნებართვა, № 509, პირადობის მოწმობა № 508, მიცემული საგუბერნიო ბათალიონის უფროსისაკან. საბუთები გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 1173 3—2

რაფაელ ისრაილის ძე ბუზიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ვექსილი სულ 4000 მან. ანდრია პავლეს ძე და ოლღა დავითის ასული კოსტავების მიერ ხელ მოწერილი, სამი ვექსილი სულ 4000 მან. შაფათა ჩიკვაშვილის მიერ ხელმოწერილი და ერთი ვექსილი 600 მ. ვასილი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე კლდიაშვილების მიერ ხელ მოწერილი. ვექსილები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1176 3—2

მოლითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯილ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება სოველგვარ ქვეშმო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში.

15—7 1140 „ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი სააგენტო.**

ქალ-ვაჟთა რვა კლასიანი გიმნაზია

ი. მ. მაჩაიძისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22.

(შენობა ყოფილ სასულიერო სასწავლებლისა) მისაღები გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 კლასებში დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდე. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად. თხოვნების მიღება 9—3 ს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მეურნეობის და სახელმწიფო მამულების განყოფილება

ამით, აცხადებს, რომ ქ. ტფილისში განყოფილების სადგომში (პეტრე დიდის ქუჩა № 22) მეორე სართულში ორშაბათს ამა წლის 1 ენკენისთვის ნაშუადღევის 12 სათზედ, მინისტრის ნებართვით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, მხოლოდ 5 ენკენისთვეს ნაშუადღევის 12 საათზედ განმეორებით საჯარო ვაჭრობა, სახელმწიფო-ეროვნულ მამულების: წინანდალის, მუკუზანის, ნაფარეულის, კარდანახის და მუხრანის (ქართლის) ჭაჭის გაყიდვაზედ. ვარციხის, არგვეთის, საქარის და ვაჭევის ჭაჭაზე საჯარო ვაჭრობა მოხდება დაბა ყვირილაში, საქარის ამერიკულ ვაზების სანერგის შენობაში. ფასალოდნელია ჭაჭის შემდეგი მოსავალი: წინანდალის—5,000 ფ. მუკუზანის—5,000 ფ. ნაფარეულის—3,000 ფ. მუხრანში—2,000 ფ. მანავში—1,000 ფ. კარდანახში—500 ფ. ვარციხეში—2,750 ფ. საქარის სანერგიდან—500ფ. და ვაჭევის—500 ფ. ვაჭრობის შეჯიბრება დაიწყება 50 მანეთიდან ფუთზედ. მყიდველი, რომელსაც დარჩება ჭაჭა განმეორებით საჯარო ვაჭრობით ვალდებულია შემოიტანოს იმავ დღეს, რა დღესაც გათავდება ვაჭრობა, შეძენილი ჭაჭის ღირებულობის 10%-ზე, გაიტანოს ჭაჭა თავის ხარჯით პირდაპირ საქაჩაოდან და გაასწოროს ყოველ გატანაზედ ანგარიში.

1492 3—2

მომდინარე წლის 28 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, № 11 დანიშნულია

საქართ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები: 1) შეცვლა პალატის წესდებისა და საარჩევნო ინსტრუქციის ზოგი §§ სა.

2) განხილვა დებულებისა შესახებ პალატის განყოფილებათა და 3) მომდინარე საკითხები.

თანახმად წესდების 37 § ისა თუ აღნიშნულ კრებას არ დაესწრო წევრთა 2/3. მეორე კრება შესდგება 29 ენკენისთვეს, იქვე, საღამოს 7 საათზე, რომელიც კანონიერი იქნება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

პალატის კომიტეტი. 1226 3—1